„თარსა გალავანი“. ეკლესიის ინტერიერი. ფოტო გ. ჩანადირი
“Tarsa Galavani”. Interior of the church. Photo by G. Chanadiri



„თარსა გალავანი“. ფოტო გ. ჩანადირი
 "Tarsa Wall". Photo by G. Chanadiri

გვირაბი

გვირაბი, რომელიც სავაჭრო უბნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, ქალაქ გრემის თანადროულია. მასში მხოლოდ ხოხვით შეიძლება გადაადგილება. სავარაუდოდ, ეს საიდუმლო გვირაბია. არქეოლოგიური გათხრების დროს აქ სპარსულწარწერიანი მოჭიქული ლანგარი, ფაიანსის ჯამი და ცისფრად მოჭიქული დოქი აღმოჩნდა.



გვირაბი. გეგმა. ე. კაპერსკი
 Tunnel. Plan. E. Kaperski

აუზი

სავაჭრო უბნის ჩრდილოეთით აღმოჩენილი შენობის ნაშთებს შორის თითქმის სრულად იყო შემორჩენილი (1 მ. სიმაღლე) ქვის აუზი (4,2X3,5 მ.), რომელიც საცხოვრებელ კომპლექსთან იყო დაკავშირებული.

The Tunnel

A tunnel was found under the central part of the market district and was contemporary to Gremi. It was probably a secret passageway, where crawling was the only means of passing through. Archaeological excavations of the tunnel only revealed a glazed tray bearing a Persian inscription, a faience bowl and a blue glazed jug.



The pool

A well-preserved one-meter-deep stone pool (4.2 X 3.5 m) was situated in what are the remains of a building to the north of the market district that was linked to the residential area.

ქვის ხიდი

სავეჭრო უბანი ქალაქის განაპირა კვარტალი იყო და ქალაქში შემოსასვლელი ერთ-ერთი გზაც აქედან მოემართებოდა. სწორედ ამ გზასთანაა დაკავშირებული რიყის ქვის ხიდიც (4 X 1,5 მ.; ნაქალაქარიდან სამასიოდ მეტრზე). მისი აგება უკავშირდებოდა არხის გაყვანას, რომლის სათავეც მდ. ინწობიდან იწყებოდა. არხი პატარაა და ხიდიც მცირეა, მაგრამ მისი სიგანე საკმარისი იყო მაშინდელი ტრანსპორტის გადასაყვანად.


ეკლესიები

რამდენიმე მცირე ზომის ეკლესია (დარბაზული, გუმბათიანი), „მთავარანგელოზის“ მთის ძირას, XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება.

ქულბაქებიდან დასავლეთით კი კიდევ ერთი გუმბათიანი ეკლესიაა გალავნით.



ეკლესიები. ფ. ქუფარაშვილი
Churches. P. Kuparashvili



Stone bridge

The market district was located in the outskirts of Gremi, and travelers to the city arrived through this district on one of the roads to the city. A cobblestone



bridge 4 meters long and 1.5 meters wide was built over a water canal that flowed from the Intsobi River, 300 meters away from the ruins of the town. The canal was small and so was the bridge, yet it was sufficient for transport at that time.

Churches

Several small churches (hall and domed churches) at the foot of Mount Archangel date from the 16th-17th cc.


Ruins of another domed church were found to the west of the closed markets.




სავეჭრო უბანი. აბანო და „თარსა გალავანი“. ფოტო გ. ჩანადირი
The market district. Bath and "Tarsa wall". Photo by G. Chanadiri

„საყარაულო“

„მთავარანგელოზთა“ ანსამბლიდან დასავლეთით „სამების“ ციხე-დარბაზისკენ მიმავალ გზაზე დგას ეკლესია, რომლისთვისაც სათავდაცვო ფუნქცია მიუნიჭებიათ. აქედან კარგად ჩანს ქალაქის სამივე ნაწილი, მთელი ხეობა რამდენიმე კილომეტრზე, კავკასიონი და ალაზნის ველი.



საყარაულო. ფასადი. ფ. ქუფარაშვილი
Sentry post. Facade. P. Kuparashvili



საყარაულო. გეგმა. ფ. ქუფარაშვილი
Sentry post. Plan. P. Kuparashvili

Sentry post

To the west of the Archangel complex, on the road to the Sameba, or Trinity Fortress, a church was used for defense, as the other three parts of the city, as well as the gorge and the Caucasus and Alazani Valley were visible from that vantage point.



ფოტო გ. ჩანადირი
Photo by G. Chanadiri



სპილენძის ორნამენტირებული ქვაბი, გვიანი შუა საუკუნეები

Ornamented copper saucepan, Late Middle Ages



თიხის დოქები, გვიანი შუა საუკუნეები

Clay jugs, Late Middle Ages



ქოთანის, გვიანი შუა საუკუნეები

A vessel, Late Middle Ages



მოჭიქული კერამიკა, ფრაგმენტი, ჯამის ძირი, XVI ს.

Glazed ceramic, fragment, bowl bottom, 16th c.



მოჭიქული შორენკეცი, XVI-XVII სს.

Glazed ceramic tile, 16th -17th cc



ფაიფურის ფიალის ძირის ფრაგმენტი, ჩინური ნაწარმი, XVI ს. (სემ)

Chinese-made china bowl, bottom fragment, 16th c. (NMG)



მოჭიქული კერამიკა, მონოქრომული ნაწარმი, XVI ს.

Glazed ceramic, monochromatic product, 16th c.



ჩიბუხები, გვიანი შუა საუკუნეები

Smoking pipes, Late Middle Ages



„სოკოსებრი“, ცალყურა ჭრაქი, XVI-XVII სს. (სემ)

Mushroom-like oil lamp with one handle, 16th -17th cc (NMG)



ფოტო გ. ჩანადირი
Photo by G. Chanadiri



ახრეშუმის გზა და საერთაშორისო ვაჭრობა

The Silk Road and International Trade

XV-XVI საუკუნეებში კახეთი ეკონომიკური განვითარებით წინ უსწრებს საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებს, რასაც ხელს უწყობს გილან-შემახა-ასტრახანის დიდ სავაჭრო გზასთან – „ახრეშუმის გზასთან“ – სიახლოვე და ფეოდალებისა და თვით მეფის მონაწილეობა საგარეო ვაჭრობაში.

სპარსეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან გრემს ორი გზა აკავშირებდა. გრემი-შემახა იყო გზაგასაყარი, საიდანაც სავაჭრო ქარავნები დარუბანდისა და არდებილის გავლით სპარსეთისაკენ მიემართებოდნენ.

გრემიდან შემახამდე 10 დღის სავალი იყო (დღიურად გასავლელი მანძილი 30კმ. შეადგენდა). ამ ქალაქში, სადაც ვაჭრობდნენ რუსები, ლეკები, ჩერქეზები, ებრაელები, ცნობილი იყო ქართველთა ბაზარიც (გიურჯი-ბაზარი).

შემახადან დარუბანდამდე გზას 6, გრემიდან კი 16 დღე სჭირდებოდა. აქედან მგზავრობა გრძელდებოდა ზღვით ან ხმელეთით.


შემახადან მეორე სავაჭრო გზა არდებილის გავლით სპარსეთის ქალაქებს უკავშირდებოდა. ჰოლანდიელი მოგზაურის, იან სტრეისის, ცნობით (1670 წ.)

In terms of economic development, in the 15th-16th centuries, Kakheti was more advanced than other kingdoms and principalities in the region, partly due to its proximity to the great Gilan-Shemakhi-Astrakhan trade route, or the Silk Road. Another reason for its strategic importance was the involvement in foreign trade by feudal overlords and kings.

Two roads connected Gremi to Persia and other oriental countries, thus Gremi and Shemakhi (in today's Azerbaijan) were crossroads from where trade caravans travelled to Persia through Derbent (Daghestan) and Ardabil (Iran). It took 10 days to travel from Gremi to Shemakhi at an average rate of 30 kilometers per day. Travelers found a Georgian market in Shemakhi, called the Gurji Bazaar, where Russians, Lezgians, Circassians and Jews traded their goods.

The trip from Shemakhi to Derbent took six days. Thus the trip from Gremi to Derbent took 16 days, then from Derbent travel continued by land or sea.

The second trade route from Shemakhi connected other Persian cities through Ardabil. According to the Dutch traveller Jan Streiss (1670), "Ardabil is a very famous and great trade city where merchants come and go from Gilan, Kurdistan, Georgia and other countries". Caravans travelling on the Gremi-Ardabil-Astrakhan (southern Russia) route also used this road. It took 18 days to travel from Gremi to Ardebil and 22 days to Tabriz (Iran).



„...არდებილი ძლიერ ცნობილი და დიდი სავაჭრო ქალაქია, თავის მომსვლელ-წამსვლელი ვაჭრებით გილანიდან, ქურდისტანიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან“. ამ გზას იყენებდნენ გრემი-არდებილი-ასტრახანიდან მომავალი ქარავნები.


გრემიდან არდებილამდე გზას 18, თავრიზამდე კი 22 დღე სჭირდებოდა.

სამეფო კარი დაინტერესებული იყო ვაჭრობის განვითარებით და ცდილობდა გზების კეთილმოწყობასა და დაცვას. კახეთში რამდენიმე ათეულ კილომეტრზე გადაჭიმული იყო აგურფენილით მოწყობილი ტრასა, რომლის სიგანე 3 მ. აღწევდა.

კახეთიდან მახლობელ და შორეულ აღმოსავლეთში გაჰქონდათ აბრეშუმი, ხალიჩები, ოქროქსოვილები, ენდრო – მცენარე, რომლიდანაც საღებავი მზადდებოდა, ღვინო, ცხენები, ცხვრები, ბენვეული და სხვ. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ აქ „...აკეთებენ ყოველგვარ აბრეშუმს“.

რუსი ელჩების (1633-1639 წწ.) ცნობით, კახეთის სამეფოში ყველამ იცის ვენახის მოვლა და აბრეშუმის მოყვანა. შაჰის კარზე მოღვაწე ჰოლდშტინელი ელჩის ადამ ოლეარიუსის მონაცემებით, ამ დროისათვის საქართველოში და სომხეთში ხუთ ათას საპალნე აბრეშუმს აწარმოებდნენ.

XV-XVI სს. კახეთში ძვირფას ბენვეულსაც ამზადებდნენ, რაც გარე ბაზრისათვის იყო გამიზნული. ტობოლინის (1604-1605 წწ.) ცნობით, „თახვი და წავი ბევრია, მაგრამ საქმეში არ იყენებენ, სულ ჰყიდიან სხვა ქვეყნებში.“ კახური საქონლით აქტიურად ვაჭრობდნენ აზიასა და ევროპაში.



მხატვარი გ. სოსანიძე
Painter G. Sosanidze



მხატვარი გ. სოსანიძე
Painter G. Sosanidze

The Georgian royal court was interested in the development of trade, thus they repaired and defended the roads. In Kakheti there was a 3-metre-wide brick road stretching several dozen kilometers.

Silk, carpets, gold cloth, rubia (a plant used to make paint), wine, horses, sheep, fur, etc were exported from Kakheti to the Far and Near East. According to Vakhushti Batonishvili, “...they produce every kind of silk here.”

Several Russian ambassadors between 1633 and 1639 said that everybody in the Kingdom of Kakheti knew about wine-making and silk production. According to the Dutch ambassador to the court of the Shah, Adam Olearius, 5,000 saddlebags of silk were produced in Georgia and Armenia at the time.

In the 15th and 16th centuries Kakheti supplied precious furs for export. According to Tobolini (1604-1605), “There is much beaver and otter here, but they never make use of it. It is only exported to foreign countries.” Goods produced in Kakheti were traded in Asia and Europe.



ქალაქის საზრუნველი სისტემა

The Gremi irrigation system

ქალაქი გრემი, თავისი მჭიდრო დასახლებით, აბანოებითა და აუზებით ინტენსიურ წყალმომარაგებას საჭიროებდა. ნაქალაქარი დასერილია კერამიკული მილების წყალსადენებით. მდ. ინსობა, რომელიც ზაფხულის თვეებში შრება, ვერ უზრუნველყოფდა სატახტო ქალაქის წყალმომარაგებას.

The densely populated city of Gremi with its baths and pools required an intensive water supply. The remains of the city are crisscrossed by ceramic water pipes. The Intsoba River dried out in summer and failed to provide the capital city with water.

Traces of a canal from Gremi to Lopota appear to indicate the existence of an irrigation system that



წყალსადენი. დეტალი. გეგმა და ჭრილი. ფ. ქუფარაშვილი
Water pipes. detail. Plan and section. P. Kuparashvili

სარწყავი სისტემის არსებობაზე მიუთითებს არხის ნაკვალევი გრემიდან ლოპოტამდე. იგი სათავეს ლოპოტას ხეობიდან (განჯახევის შესართავი-

started from the Lopota Gorge (Ganjakhevi). One end of the water pipe was molded in lime, and the other was a simple construction buried in the ground.



წყალსადენი მილები, XVI-XVII სს.

Water pipes, 16th-17th cc.

დან) იღებდა. ამ წყალსადენის ერთი ნაწილი დულაბშია ჩასხმული, ხოლო დანარჩენი მარტივადაა მოწყობილი და მინაშია.

გრემის წყლით მომარაგება ქალაქის ორი მხრიდან ხდებოდა, ერთი მოემართებოდა მდ. ინწობას, მეორე კი მდ. ბოლიას მხრიდან. ერთი ზედა, ქვის და აგურის ღარს წარმოადგენდა და ალბათ მეორეხარისხოვანი იყო, ხოლო ქვედა, კერამიკული წყალსადენი, სასმელი წყლისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

კომუნალური დანიშნულების წყალი ქალაქში მცირე არხებით შემოდის, დიდი კი ქალაქის მიდამოებს რწყავდა. არხი ალჭურვილი იყო საინჟინრო ნაგებობებით და გრემში „მთავარანგელოზთა“ ეკლესიის ძირში ჩამოდიოდა. სათავე ნაგებობისა და ტრასის კვლევამ ცხადყო, რომ არხით შესაძლებელი იყო 4000-მდე ჰექტარი ფართობის მორწყვა, აქედან 2900 ჰექტარს სავარგულები შეადგენდა, დანარჩენი ხმარდებოდა გრემს (აბანოები, შადრევნები და სხვ.).

XVII საუკუნეში, არხი წინა საუკუნეში, ლევანის დროს (1520-1574 წწ.) გაყვანილად ითვლებოდა. რუსი ელჩების ცნობით (1639 წ.) ლევან მეფემ „...თავისთვის სასახლე მოიწყო დაბლა... და წყალი შეიყვანა იქ...“



Gremi was supplied with water from two sides of the city – one from the Intsoba and the other from the Bolia River. The upper irrigation system which was a stone and brick trench was perhaps secondary, while the lower system with ceramic water pipes probably provided drinking water.

Communal water came to the city through small canals, while a large canal irrigated areas adjoining the city. This canal was lined by engineering constructions that stretched to the end of the Church of Archangel. A study of the water source structure and the road shows that the canal could irrigate up to 4000 hectares of land of which 2900 hectares were agricultural. The rest flowed to Gremi to provide water to baths and fountains.

In the 17th c it was believed that the canal had been built in the previous century during the reign of King Levan (1520-1574). According to Russian ambassadors (1639), King Levan “fitted out his palace below...and supplied it with water...”



დულაბიანი წყალსადენი მილი, XVI-XVII სს.

Water pipe molded in lime, 16th-17th cc.

ბაზარი (ზაგემი)

Bazari (Zagemi)

„სატატარო ადგილი“ და
„სამეფო გვარის სამყოფელი“

ისკანდერ მუნში, XVII ს.

“A royal place” and
“the residence of the royal house”

Iskandar Munshi, 17th c

ბაზარი, სპარსულ-თურქული წყაროებით ზაგემი, იმდროინდელი კახეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქია (დღეს აზერბაიჯანი, ზაქათალის რაიონის სოფ. ალიაბადი). ბაზარი (ზაგემი), გრემთან ერთად კახეთის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი იყო. იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა უცხოეთთან ურთიერთობის საქმეში და აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში.

რუსული და თურქული წყაროებით, ზაგემი სამი უბნისაგან შედგებოდა: ეკლესიის უბანი, რომელიც ტაძრის გარდა, მოიცავდა სამეფო უბანსაც, სასახლითა და დამხმარე ნაგებობებით; რაბათი (გარეუბანი) და ბაზარი – ზღუდეშემოვლებული სავაჭრო ადგილი, ქარვასლითა და დუქნებით. ევლია ჩელების (XVII საუკუნის თურქი მემატთანე და მოგზაური) ცნობით, ქალაქში ძლიერი ციხეც (ზაგემის ციხე) ყოფილა.

Bazari, called Zagemi in Persian and Turkish sources, was one of the most important cities in the Kingdom of Kakheti. It is now situated in the Zakatala region of Azerbaijan, in the village of Aliabad. Bazari (Zagemi) was, along with Gremi, one of the main economic and political centers of Kakheti and played a prominent role in foreign affairs and international trade.

Russian and Turkish sources say that Zagemi consisted of three districts: the Church District, which included the royal quarters as well as the main church; the Rabat (outskirts) and the Market District, which was a walled trading area including a caravanserai and dukanis (restaurants). Evlia Celebi, a 17th c Ottoman Turk traveler, said that the city included a well-fortified castle (Zagemi Castle).

The Kakhetian kings met with foreign ambassadors and carried out diplomatic negotiations in both Gremi and Bazari-Zagemi.

The importance of Zagemi is echoed in the words of Prince Giorgi, son of King Alexander, speaking to Russian envoys: “Now the Turks are coming to us from Ganja and Shemakhi...and they want to capture our best stronghold, Zagemi, which is our source of sustenance...if the Turks capture Zagemi, all of the Georgian land will fall into Turkish hands”.

The mint at Bazari-Zagemi

The oldest written record of Bazari (Kartli-Kakheti-Meskheti deed of donations of church land) is dated to 1392 which lists a number of locations in



სახელმწიფო საქმეების მართვას, უცხო ქვეყნის ელჩებთან შეხვედრებს და დიპლომატიურ მოლაპარაკებებს კახეთის მეფეები აწარმოებდნენ, როგორც გრემში, ისე ბაზარ-ზაგემში.

ზაგემის მნიშვნელოვნებაზე მეტყველებს უფლისწულ გიორგი ალექსანდრეს ძის სიტყვები რუსი ელჩებისადმი: „ეხლა ჩვენზე მოდიან განჯიდან და შემახიდან თურქები... და უნდათ წაგვართვან ჩვენი ყველაზე კარგი ადგილი ზაგემი, რითაც ჩვენ ვცხოვრობთ... თუ თურქები ზაგემს აიღებენ, საქართველოს მინა მთლიანად თურქების ხელში აღმოჩნდება“.

eastern Kakheti. There are also 13th and 14th century coins which were minted in Bazari (during the domination of the Ilkhanid rulers Ghazan-Khan (1295-1304), Oljeitu (1304-1317) and Abu Said (1317-1335), which demonstrate the city status of Zagemi at the time and the existence of a mint since the end of the 13th century.

Iskander Munshi writes in 1602 that the Kakhetian King Alexander travelled to Yerevan to meet Shah Abbas who gave King Alexander a grand reception. At the end of the grand ceremony, the Kakhetian king “picked up a handful of gold coins which had been



ზაგემის მონეტები (სემ)
Coins minted at Zagemi (NMG)

იქ, სადაც ფული იჭრება

ყველაზე ძველი ცნობა, რომელშიც ბაზარია მოხსენიებული, 1392 წლით თარიღდება (ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი). მასში აღმოსავლეთ კახეთის პუნქტებია დასახელებული. ამასთან, XIII საუკუნის რიგ მონეტებზე მათი მოჭრის ადგილად ბაზარია აღნიშნული (ილხანების ყაზან-ყაენის (1295-1304), ოლჯაითურ (1304-1317), აბუსაიდის (1317-1335) სახელით), რაც მკვლევარებს ზაგემის ქალაქობას და აქ ზარაფხანის ფუნქციონირებას უკვე XIII საუკუნიდან აფიქრებინებთ.

ისკანდერ მუნშის გადმოცემით, 1602 წელს ალექსანდრე კახთა მეფე ერევანში ეწვია შაჰ-აბასს. მან დიდებითა და პატივით მიიღო ალექსანდრე. საზეიმო ცერემონიის დასასრულს კახთა მეფემ „...ხელში აიღო თაბახი ოქროს ფულებით, რომელიც თავის ქვეყანაში მოეჭრა შაჰის სახელზე და თავზე დააფ-

minted in his country in the name of the shah and showered them on the head of the ruler, as is the tradition in Georgia where they shower money on the heads of their rulers“. In his description of the political events of the mid-16th century, the historian says that the tradition of minting coins in Zagemi had been revived by this time.

Centuries later, gold coins were found (often accidentally) on many occasions around the ruins of Zagemi.

Traders from Zagemi had links with European traders which is demonstrated by the discovery of European ducats. Among the treasures found around the ruins are 189 coins minted at 10 different locations, of which just 8 coins were minted at Zagemi. A number of coins were found in a clay pot during ploughing. The oldest coin was dated to 1602-1603, while the

რქვია ხელმწიფეს, როგორც წეს-ჩვეულებად აქვთ საქართველოში, სადაც ხელმწიფეს თავზე აფრქვევენ ფულს”. XVI საუკუნის შუა ხანების პოლიტიკური ამბების აღწერისას კი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ზაგემში კვლავ აღდგა მონეტების ქრის ტრადიცია.

საუკუნეების შემდეგ ზაგემის ნაქალაქარზე ოქროს მონეტების აღმოჩენის არაერთი შემთხვევა დადასტურდა (შემთხვევითი მონაპოვრები).

ზაგემელ ვაჭრებს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ევროპელ ვაჭრებთან, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი ევროპული დუკატებიც. ნაქალაქარზე ნაპოვნ განძში, 10 ზარაფხანაში მოჭრილი 189 მონეტა იყო, მათგან 8 – ზაგემშია მოჭრილი. თიხის დოქში შენახული მონეტები ხვნის დროს იპოვეს. ყველაზე ძველი მონეტა 1602-1603 წლებში, უახლესი კი 1615 წელსაა მოჭრილი. სავარაუდოდ, განძი ყიზილბაშების შემოსევის მოლოდინში დაფლეს.

ზაგემში მოჭრილი ოთხ ათეულზე მეტი მონეტა ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ერმიტაჟის, მოსკოვისა და აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმების კოლექციებში (ამბროლაურის, რაჭის, ჭიკაძის განძები). ისინი მოჭრილია სხვადასხვა სიქით, წარწერები კი საერთო აქვთ.

ზარაფხანის ადგილი „ზგმ“ (ზაგემი), ასევე, ამოკითხულ იქნა ბირკიანის (ახმეტა) განძის ორ მონეტაზე. ისინი 1629/30 და 1631/32 წლებშია მოჭრილი, რაც მიუთითებს, რომ ზაგემის განადგურების შემდეგ მეფე თეიმურაზს კვლავ მოუხერხებია ზარაფხანის აღდგენა.

ზაგემის არქეოლოგია

ზაგემის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. მის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მხოლოდ სადაზვერვო, ზედაპირზე ნაპოვნი მასალა. მისი ძირითადი ნაწილი გრემის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნიმუშების თანადროულია. აქ უხვად გვხვდება მოჭიქული ქვები და წიდა, რაც მოჭიქული ჭურჭლის ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს. ფორმით, შემკობის ხერხებით ეს ნაწარმი ახლოს დგას გრემის კერამიკასთან.

ორივე ქალაქი კახეთის სამეფოს გულს წარმოადგენდა და ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ორივე ქალაქის კულტურულ-ინდუსტრიულ ცხოვრებასაც ერთიანი ტრადიციები ედო საფუძვლად.

ორივე ქალაქმა ერთდროულად შეწყვიტა არსებობა.

newest was dated to 1615. These coins were probably hidden in anticipation of Qizilbash invasion.

Over 40 coins found at Zagemi are now on display at the Georgian National Museum as well as at the Hermitage, Moscow and Azerbaijani historical museums (alongside finds from Ambrolauri, Racha and Chikaani). These coins had different images, but had the same markings.

Marking indicating the mint at “ZGM” (Zagemi) have also been found on two coins found at Birki-ani (Akhmeta). These were minted in 1629/30 and 1631/32 which indicates that King Teimuraz managed to revive the mint after the sacking of Zagemi.

The Archaeology of Zagemi

Archeological excavations have not been conducted in Zagemi. We only know about the architectural monuments of Zagemi through what has been found at the surface. Most of what has been found there is contemporary to finds at Gremi. A large amount of glazed stone and furnace slag has been found at Zagemi which indicates the existence of a local pottery industry. In terms of design and decorative style, the pottery found at Zagemi is similar to Gremi ceramics.

Both Gremi and Zagemi formed the core of the Kingdom of Kakheti and both cities had much in common, including shared traditions in the cultural and industrial spheres. Both cities were ceased to exist at the same time.





ფოტო ზ. ცერცვაძე
Photo by Z. Tsertsvadze

გრემის მუზეუმის ექსპოზიცია მომზადებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ /ირმა დოლიძე, ნინო ვაჩეიშვილი, გიორგი სოსანიძე, გვანცა გეგეჭკორი, მაია ყვირალაშვილი, ქეთი ქამუშაძე / 2011 წელს.

დიზაინი და შესრულება: Casa group

საინფორმაციო დაფების დიზაინი: ზვიად მებურიშვილი, მარიამ ქუფარაშვილი

The Gremi museum exposition was organized by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia / Irma Dolidze, Nino Vacheishvili, Giorgi Sosanidze, Gvantsa Gegechkori, Maia Kvirashvili, Ketikamushadze / in 2011.

Design and production: Casa group

Banner design: Zviad Meburishvili, Mariam Quparashvili

ქალაქ გრემის დასასზრუდი

The Fall of Gremi

სპარსელების 1614 და 1616 წლების ლაშქრობებს თითქმის მთელი კახეთი შეეწირა. შაჰ-აბას I-ის სურვილი „...შენებულებისაგან და უტყვისა და მეტყველისგან კვალიც არ დარჩენილიყო“ – სისრულეში იქნა მოყვანილი.

ოდესღაც აყვავებული კახეთის დედაქალაქი – გრემი – ნანგრევებად იქცა. ასეთივე ბედი ეწია კახეთის მეორე დიდ ქალაქს – ზაგემს. XVII საუკუნის შუა ხანებისთვის კახეთში არც ერთი ქალაქი აღარ არსებობდა. შაჰ-აბასმა მიწასთან გაასწორა ისინი. მისივე ბრძანებით, ვაზთან ერთად დაჭრეს თუთის ხეებიც, რათა ამ ქვეყანაში აღარასდროს აღდგენილიყო მებაღეობა. ოციოდე წლის შემდეგ თეიმურაზ მეფე ასე მიმართავს რუს ელჩებს: „ძველად

The Persian invasion in 1614-1616 resulted in the destruction and devastation of the entire Kakhetian Kingdom. The wish of Shah Abbas I was “to make the city – buildings, people and animals – disappear without a trace”. His wish came true.

Gremi, once the flourishing capital of Kakheti, was left in ruins, as was Zagemi. By the mid 17th c, there was no town left in Kakheti – all had been razed to the ground by Shah Abbas. Under his orders all mulberry trees were cut down so that silkworm breeding could not resume, and vineyards underwent the same fate.

Approximately twenty years later King Teimuraz addressed the Russian ambassador, saying that “in the past, we sent 1000 bales of silk from Gremi to Bazarı.



გრემიდან ბაზრამდე 1000 საპალნე აბრეშუმი შემოგვდიოდა. იერუსალიმს და წმინდა მთას ყოველწელს ოც-ოცდაათ საპალნეს ვწირავდით ხოლმე. ჩვენც ბევრი გვექონდა ოქრო და ვერცხლი.“



მხატვარი გ. სოსანიძე
Painter G. Sosanidze

შაჰ-აბასის ისტორიკოსის, ისკანდერ მუნშის სიტყვებით: „...ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლივ ურიცხვ სარგებელს და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული.“ „...საცხოვრებლები დააქციეს და ქალაქ ზაგემში კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა. ასე მოხდა

Each year we dispensed 20-30 bales of silk to Jerusalem and the Holy Mountain. We had plenty of gold and silver too“.

According to Shah Abbas’s historian Iskandar Munsh “the country that gave us numerous benefits and income every year is ruined and razed to the ground”...homes are destroyed and there is not even a trace of settlement in the town of Zagemi. All of Kakheti shared the same fate-massacre, dispersal, robbery, arrest, destruction of homes and shelters that fall upon Kakhetian Christians, such a thing was never heard since the emergence of Islam.”

“Shah Abbas personally guided the army to that county four times and later he sent it several times“. Tens of thousands of Georgians were expelled from their homeland and exiled to the middle of Persia – Fereydan. “The number of civilians killed exceeded 60-70,000 beautiful young women... beardless young men and children... over a hundred thousand have been counted, but according to the author of these lines, thirty thousand more have been taken prisoner in other districts and have not been recorded for lack of time“. Iskandar Munsh, “History of Abbas, Pride of the State“, 1629 .

Dozens of years passed following Abbas’ devastating invasions, until King Rostom visited Gremi: “I found many well-built palaces looking like animal sheds – without doors or ceilings” – his chronicler wrote.

There were no preconditions for city reconstruction in 17thc Kakheti, thus neither Gremi nor Zagemi were rebuilt. Later, when Telavi became the capital of the Kakhetian Kingdom, life gradually disappeared in Gremi.





მთელ კახეთში... ხოცვა, რბევა, ძარცვა, ტყვევ-
 ნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა
 და საცხოვრებლებისა, რაც კახეთის ქრისტიანებს
 თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის
 დროიდან აქამდე...”

„შაჰმა ოთხჯერ (პირადად) დასძრა ლაშქარი იმ
 ქვეყნისკენ და კიდევ რამდენიმეჯერ გაგზავნა
 იქით ჯარი“. ათეულ ათასობით ქართველი აყარეს
 მშობლიური ადგილებიდან და შუაგულ სპარსეთში,
 ფერეიდანში, გადაასახლეს. „...მოკლულთა რიცხვი
 სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა... ლამაზი
 ქალწულები... უწვერული ვაჟები და ბავშვები... ასი
 ათასზე მეტი იქნა აღწერილი, მაგრამ ამ სტრიქო-
 ნების დამწერის აზრით, ოცდაათი ათასი კიდევ
 სხვა კუთხესა და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი,
 რომელიც დროის უქონლობის გამო არ ყოფილან
 აღრიცხული“ (ისკანდერ მუნში, „ქვეყნის დამამშვე-
 ნებელი აბასის ისტორია“, 1629 წ.).

შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების შემ-
 დევ რამდენიმე ათეული წელი იყო გასული, რო
 ცა როსტომ მეფემ გრემი ინახულა. „იქ მრავალი
 კარგად ნაშენი სასახლენი დაქცეულ-დანგრეული
 ვნახე უკარო და უჭერო ნადირთა სადგომქმნილ-
 ნი“, – წერს მისი მემამტიანე.

XVII საუკუნის კახეთში აღარ იყო ქალაქის ადდგე-
 ნის არავითარი პირობა, ამიტომ ვერც გრემი და
 ვერც ზაგემი ველარ აღადგინეს. მომდევნო ხანებ-
 ში, როდესაც კახეთის სატახტო ქალაქი თელავი
 გახდა გრემში თანდათან შეწყდა ცხოვრება.



ზარი. XVIII-XIX სს.
 Bell. 18th-19th cc



ისრის პირები, განვითარებული
და გვიანი შუა საუკუნეები

Bow parts, Developed and Late Middle Ages



ზარის ფრაგმენტი მხედრული ნარწერით:
„შეგწირე თარსა გალავნის წმინდა გიორგის...“
გვიანი შუა საუკუნეები

bell fragment with ancient Georgian inscription:
“I’ve sacrificed to “Tarsa Wall” St. George”
late Middle Ages



თოფები, XVIII-XIX სს.

Guns, 18th-19th cc

ზარბაზნის ლულის დეტალი, XVI-XVII სს.
Cannon barrel, detail, 16th – 17th cc





მუზეუმი „გრემის ნაქალაქარი“. ფოტო გ. ჩანადირი
Museum „Gremi Settlement“. Photo by G. Chanadiri

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით





ლევან მეფე, თინათინ დედოფალი, ალექსანდრე II. ნეკრესის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობა. XVI ს. ფოტო შ. ლეჟავა
King Levan, Queen Tinatin, Alexander II. 16th c. Painting from the Church of the mother of god in Nekresi Monastery. Photo by Sh. Lejava

კახეთის
სამეფოს

მეფები



Kings

of Kakheti Kingdom



Երևանի մարզի քաղաքացիական շրջանի քարտեզը
 1840 թ.

ՅՈՒՆԵՍԿՕ-ի Համաշխարհային ժառանգության օբյեկտների ցանկում
 ներառված է Երևանի քաղաքը՝ որպես
 «Երևանի քաղաքը և Նոր Երևանը»
 1992 թ.



Բյուր. 1735
 Նոյեմբ. 24

ვახუშტი ბატონიშვილი. კახეთის სამეფოს რუკა, XVIII ს. (ხეც)
Vakhushti Batonishvili. Map of Kakheti Kingdom, 18th c. (NCM)





გიორგი VIII (გიორგი I). მეფე გიორგი VIII-ის სასიხლო სიგელი მიცემული გიორგი ჟურულისადმი, 1460 წ. (ხეც)

Giorgi VIII (Giorgi I). King Giorgi VIII's book of genealogy presented to Giorgi Zhuruli, 1460 (NCM)

გიორგი I

1466-1476

გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (კახეთში გიორგი I) 1466 წელს აჯანყებულ დიდებულებს კახეთში გაექცა, რითაც დასაბამი მისცა კახეთის სამეფო შტოს შექმნას. ახლად-დაარსებული სამეფოს დედაქალაქი გრემი ხდება.

ალექსანდრე I

1476-1511

ალექსანდრე I-მა და ქართლის მეფე – კონსტანტინემ საზავო ხელშეკრულება დადეს, რომლის მიხედვითაც ქართლისა და კახეთის საზღვრები დადგინდა. „ესე ალექსანდრე იყო კაცი კეთილი და ღვთისმოყვარე, დიდად შემწე წმიდათა ეკლესიათა, შემამკობელი ხატთა და ჯვართა“.

ალექსანდრეს მეფობის დროს მშვიდობა და მეგობრობა სუფევდა ქართლსა და კახეთში.

Giorgi I


1466-1476

Giorgi VIII (Giorgi I) was the last king of a united Georgia. In 1466, he fled to Kakheti from revolts by feudal lords, where he founded the Kakhetian royal house. Gremi became the capital of the newly-founded kingdom.

Alexander I

1476-1511

Alexander I and Konstantine, the King of Kartli, concluded a truce defining Kakhetian and Kartlian borders. “Alexander was a kind and god-fearing man, greatly assisting holy churches and adorning them with icons and crosses.”*



ალექსანდრე I-ის წყალობის სიგელი (ხეც)

Alexander I Deed of donations (NCM)

გიორგი II (ავ-გიორგი)

1511-1513

ალექსანდრეს უფროსი ვაჟი, გიორგი, კახეთის ტახტის ხელში ჩაგდებას და ქართლის შემოერთებას ცდილობდა. „...მოკლა ღალატად გიორგიმ მამა თუსი, მეფე ალექსანდრე და შეიპყრა ძმაცა თუსი დიმიტრი ...და მიერ ჟამითგან უწოდეს ავგიორგი.“*

„...ალაშენა მცხეთას მცირე ეკლესია მთავარანგელოზისა... და მუნ დამარხეს და მიერთგან იტყუიან კახი ბატონნი, რომე მცხეთა სამარხო არისო ჩვენო“.*

Giorgi II (Av-Giorgi, or Evil Giorgi)

1511-1513

Giorgi, the eldest son of Alexander, tried to seize the Kakheti Throne and annex Kartli. “Giorgi betrayed and murdered his father, King Alexander, and captured his brother, Dimitri...after which he was named Av-Giorgi”,* which means Evil Giorgi...

He “built a small church of the Archangel in Mtskheta...where he was buried. Kakhetian kings would later say that Mtskheta was their burial place.”*



ორთავიანი არწივი, ვახტანგ და ბაქარ ბატონიშვილების მიერ სიონის მხატვარ გიორგისათვის მიცემული სითარხნის წიგნი და ნიშანი, 1712 წ. (ხეც)

Two-headed eagle, a book and a nate by Princes Vakhhtang and Bakar exempting Giorgi, the painter of the Sioni church, from taxes, 1712 (NCM)

დავით X (ქაზთლის მეფე)

კახეთში მეფობდა 1513-1518/20

„ხოლო ვინაჲთგან არლარავინ იყო მეპატრონე კახეთისა თუნიერ ავგიორგისა, შემოიკრიბნა მეფემან დავით სპანი თუსნი და შთავიდა კახეთს. ვერვინ წინააღუდგა და დაიპყრა თუთ კახეთი.“*

David X (King of Kartli)

ruled Kakheti in 1513-1518/20

“As there was no one to rule in Kakheti except for Evil Giorgi, King David summoned his army and went down to Kakheti and seized it, for no one offered resistance.”*

* ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ Vakhushhti Batonishvili, “The Description of the Kingdom of Georgia”

ლევან კახთა მეფე

1518/20-1574

„ხოლო ლევან მდიდარი და ქუეყანა-აღესილი იყო მშვიდობით... ჟამსა ლევანისასა... კახეთი იყო ფრიად შენი და მაგარი.“* როცა მეფემ გურიელის ასული თინათინი ითხოვა ცოლად „მუნიდამ მოიყვანეს გრემს და ჰყო ქორნილი ჯეროვანი ლეონ.“*

იგი ჭკვიანი მმართველი და მოქნილი პოლიტიკოსი იყო. მორჩილებაში ყავდა პირაქეთა დაღესტანს. დაიმორჩილა, ასევე, კარგა ხნის გამდგარი ფშავ-ხევსურები და თუშები.

ლევან მეფის საზრუნავი იერუსალიმსა და ათონის მთაზე ქართული კერების მოვლა-პატრონობა, საქართველოში კი ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, ძველი ტაძრების რესტავრაცია და მათი შემკობა იყო.

Levan, King of Kakheti

1518/20-1574

“Levan (Leon) was rich and there was peace in the country...under Levan’s rule...Kakheti was prosperous and strong.”* When the King married Tinatin, the daughter of Gurieli, “they arrived in Gremi and Leon held a wedding well befitting him.”*

He was a wise ruler and a flexible politician. He subjugated southern Dagestan, as well as Pshav-Khevsurians and Tushis, who had long rebelled against the Kingdom.

King Levan took good care of Georgian centers in Jerusalem and Mount Athos. In Georgia he built churches and monasteries and renovated and adorned old churches.

ახალი შუამთის ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის კედლის მხატვრობა. XVI ს. ლევან მეფე, თინათინ დედოფალი და ალექსანდრე II. ფოტო შ. ლეჟავა

Wall Painting from New Shuamta Church of the Birth of Mother of God. 16th c. King Levan, Queen Tinatin and Alexander II. Photo by Sh. Lejava





ალექსანდრე II

1574-1605

კახთა მეფე ალექსანდრეს კარგად ჰქონდა ანყობილი სამხედრო საქმე. მას მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყოლია: 10 000-ზე მეტი ფარ-ხმალითა და შუბებით შეიარაღებული ცხენოსანი, 500 მხედარი „ანჩარი“ და 3 000 ფარ-ხმალიანი, მშვილდკაპარჭოსანი ქვეითი ჯარისკაცი. ეს ლაშქარი ხუთ ცხენოსან და ქვეით რაზმად (სადროშოდ) იყო დაყოფილი. კახეთს განსაკუთრებულ შემთხვევებში უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანაც შეეძლო. ყოველი წლის შემოდგომას მეფე თავის ჯარს საზეიმო აღლუმზე იწვევდა.

Alexander II

1574-1605

Kakhetian King Alexander was well versed in military affairs. He had a large army-over 10,000 cavalry armed with shields, swords and spears, 500 regular cavalry and 3,000 infantry armed with shields, swords and bows. The army was divided into five cavalry and infantry regiments. If necessary Kakheti could muster an even larger army. Every autumn the King would hold a celebratory parade in which his army took part.



ალექსანდრე II, ლევანი და დავით I, შეწირულობის სიგელი, 1708 წ. და 1723 წ. (ხეც)

Alexander II, Levan, Davit I, a deed of donations, 1708 and 1723 (NCM)

დავით I

1601-1602

„ხოლო ესე დავით იყო ამაყი, ლალი, მრისხანე და სძულობდნენ კახნი.“*

David I

1601-1602

“David was arrogant, reveling and ruthless, and was hated by Kakhetians.”*

კონსტანტინე I

1605

„არამედ შააბაზ... მოიყვანა კონსტანტინე ძე ალექსანდრესი... რომელი იყო ფრიად მაჰმადიანი და შემყურე სჯულთა მათთა“. ხალხმა კონსტანტინე მეფედ არ მიიღო, მის წანაღმდეგ აჯანყდა და „მოკლეს კახთა მკვლელი მამისა და ძმისა კონსტანტინე“.*

ქეთევან დედოფალი

1605

1624 წლის 13 (26) სექტემბერს სპარსეთის მმართველის შაჰ-აბასის ბრძანებით თეიმურაზ I-ის დედა, ქეთევან დედოფალი, შირაზში აწამეს. მისი დამწვარ-დასახიჩრებული სხეული პორტუგალიელმა მისიონერმა, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშმა და გრიგორიო ორსინიმ, ისპაჰანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს. ორი წლის შემდეგ კათოლიკე ბერებმა ქეთევანის ნაშთთა ნაწილი მის შვილს, თეიმურაზ მეფეს, ჩამოუტანეს საქართველოში, ხოლო ნაწილი ინდოეთში, ქალაქ გოაში, და-გრასას მონასტერში, განათავსეს.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1624 წელსვე წმინდანად შერაცხა რწმენისთვის წამებული დედოფალი.



იოჰანეს უზინგი, სცენა დადგმიდან „ქეთევან დედოფალი“, გერმანული გრავეურა, 1655 წ.

Johannes Juzing, a scene from the play Queen Ketevan, German engraving, 1655

Konstantine I

1605

“For Shah Abbas ... brought Konstantine, the son of Alexander...who was of Muslim faith and loved their religion.” The people did not accept Konstantine as their king, rebelled against him then “they murdered Konstantine, the murderer of his father and brother”.*



კრებული. გადაწერილია დავით რექტორის და დავით თუმანოვის მიერ 1822 წელს (ხეც) Collection. Rewrote by the David the Rector and David Tumanov in 1822 (NCM)

Queen Ketevan

1605

On 13 (26) September 1624, at the instruction of Persian ruler Shah Abbas, Queen Ketevan, the mother of Teimuraz I, was tortured to death in Shiraz. The Portuguese missionary, father Ambrossio Duch Anzhush, and Gregory Orsini, took her burnt and mutilated body to Isfahan and placed it at a Catholic monastery there. Two years later, Catholic priests brought a large part of Queen Ketevan’s remains to her son, King Teimuraz, in Georgia. The other part of her relics located at St. Augustine Da-Grasa Monastery in the Indian city of Goa.

The martyred Queen Ketevan was canonized by the Georgian Orthodox Church in 1624.

ქმნის უწყალობა ღმერთს, არა მართა სიმონ ყმ
აყ, ხე მართა მართაყმ ხე მზნ სხნონს მშაქხი:

44

წის მონა მონსე უწყალობა: არა იყა უმონს
ყაყაყაყს ყმს მათეძაყმს უთაშეძეს, ზედა
ყრესს ხე ძაყს: **ა**ყთა: **გ**მსსთონს: **ყ**ყა: **ყ**:

ათა უწყალობაყთა უწყალობა სეზაძაძა
ძეოთაყთა ხე მუყაქითა ყოყმონა უქმნი მდ
მართა სეძთა, არა სეძთა ქს ყრს ყმ ხედა, ყრს სეძ
ნს: მხედაყა, მონ ხე უწყალობა ხე ყთა: არა: **ყ**მს
ყთა ხსე უმონსე უმონს ხსედაყა ყმ თის ყაყს:


45



ყმსე უწყალობ
ნსე უმონსე თის,
ქს მს სხსე უმს
უწყალობს:


გე თისე ხსედა
არაყაყს ხე უწყალობსე უწყალობსე უწყალობსე:
გე თისე მონა მონსე უწყალობსე უწყალობსე, მონსე ხ
უწყალობსე არა მონსე, უწყალობსე უწყალობსე უწყალობსე, ყმ
ქს ყმს: **ყ**მსე ხსედა უმონსე უწყალობსე უწყალობსე

ქეთევან დედოფლის მინიატურა, „სადღესასწაულო“, XVIII ს. (ხეც)
Miniature of Queen Ketevan from manuscript of 18th c. (NCM)



კრებული, 1821-1823 წწ. მეფე თეიმურაზ პირველისგან თქმული გრემის სასახლეზედ. ანბანთქება წმინდისა მონაზისა ქეთევან დედოფლისაგან. გადამწერი: დავით რექტორი (ხეც)

Selected works, 1821-1823. King Teimuraz I's tale of the Gremi Palace. Acrostic of St Ketevan Queen the Martor. Scribe: David the Rector (NCM)



თეიმურაზ I, წამება ქეთევან დედოფლისა, XIX ს. (ხეც)

Teimuraz I, the suffering and torture of Queen Ketevan, 19th c (NCM)



კრებული, 1821-1823 წწ. მეფე თეიმურაზ პირველისგან თქმული გრემის სასახლეზედ. ანბანთქება წმინდისა მონამისა ქეთევან დედოფლისაგან.
გადამწერი: დავით რექტორი
მულაჟი. ე. მაჭავარიანი

*Selected works, 1821-1823. King Teimuraz I's tale of the Gremi Palace. Acrostic of St Ketevan Queen the Martor. Scribe: David the Rector
Moulage of manuscript – E. Machavariani*



თეიმურაზ I, წამება ქეთევან დედოფლისა, XIX ს. მულაჟი. ე. მაჭავარიანი

Teimuraz I, the suffering and torture of Queen Ketevan, 19th c Moulage of manuscript – E. Machavariani

ალექსანდრე I-ს წყალობის სიგელი მიცემული მცხეთის საყდრის ქადაგის ივანის ძის მახარებლისადმი საქადაგო მამულის ბოძების შესახებ, 1501 წ.
ალექსანდრე II-ის სიგელი. შეწირულობათა განახლების წიგნი, მიცემული ალექსანდრე კახთა მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის, 1569 წ.
ასლები – ე. მაჭავარიანი. ორიგინალები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

*A copy of Kakhetian King Alexander I's deed of donations given to the priest of the Church in Mtskheta certifying the donation of land, 1501
Alexander II's deed. A copy of a book of renewed donations given by Kakhetian King Alexander to the Svetitskhoveli Cathedral, 1569
Copies - E. Machavariani. The originals are preserved at the National Centre of Manuscripts.*





თეიმურაზ I, დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი, XVII ს.
Teimuraz I, a drawing by Don Christoforo de Castelli, 17th c.

თეიმურაზ I

კახეთის მეფე 1606-1648

ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632

თეიმურაზი გამეფებისას 16 წლის იყო. მისი მცირეწლოვანების გამო სამეფოს ქეთევან დედოფალი განაგებდა. 1625-1632 წლებში თეიმურაზ I „ორისავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელი“, გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველოს გვირგვინოსანი მეთაურია. გრემი იყო შთაგონების წყარო მეფე-პოეტ თეიმურაზისთვის. ასე შეიქმნა მისი ცნობილი ლექსი „თხზულება გრემის სასახლეზედ.“

ზისცგოპი

ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656

ირანში აღზრდილი როსტომ მეფე დანგრეულ ქართულ სალოცავებს აღადგენდა და ეკლესიებს აშენებდა, „ამან განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა კარის გამგენი თვისნი, და არცა მოშალნა ქართულნი... და მიანიჭებდა ქართველთა ბოძსა მცირეთა და უერთგულებდა მათ, რამეთუ მას ჟამსა იყვნენ ქართველნი მხნენი, რჯულმტკიცენი, წრფელნი, ვერცხლის უყუარულნი“.* ქართლსა და კახეთში 72 ამონყვეტილი სოფელი ხელახლა დაასახლა და ააღორძინა. აშენებდა ციხე-სიმაგრეებს, სასახლეებს, გზებს, წყალსადენებს, ქარვასლებს, ხიდებს. სახელმწიფო მიმონერასაც ქართულ ენაზე აწარმოებდა.

Teimuraz I

King of Kakheti 1606-1648

King of Kartli and Kakheti 1625-1632

Teimuraz was 16 at the time of his enthronement. Therefore, the country was ruled by his mother, Queen Ketevan. From 1625-1632, Teimuraz I “wielded both kingdoms and thrones” and was the crowned ruler of united east Georgia.

Gremi was a source of inspiration for the poet King Teimuraz, and how his famous poem “Of the Gremi Palace” came into being.



თეიმურაზ I, დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი, XVII ს.
Teimuraz I, a drawing by Don Christoforo de Castelli, 17th c.

Rostom

King of Kartli and Kakheti 1648-1656

King Rostom, who was raised in Iran, undertook the restoration of many destroyed Georgian places of worship and built churches. “He employed his servants according to the Qizilbash rule, but did not relegate Georgian traditions to history ... he would present Georgians with little gifts and was devoted to them, for in that period Georgians were brave, firm in their faith, sincere and selfless”.* He resettled and revived 72 villages in Kartli and Kakheti, whose population had perished in wars. He built fortresses, palaces, roads, water canals, caravansaries and bridges. Official correspondence was also conducted in Georgian under Rostom’s rule.



მეფე არჩილის შეწირულობის სალაპე ნიგნი სვეტიცხოველისადმი, 1670 წ. (ხეც)
Archil II, a book of King Archil's donations to Svetitskhoveli, 1670 (NCM)

ახილ II

1664-1675

არჩილ მეფემ კახეთის სატახტო ქალაქად, იავარქმნილი გრემის ნაცვლად, თელავი გამოაცხადა. „ამან არჩილმა ჰყო სასახლე თელავს და განაახლნა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქვეყნისასა.“*

„შენდებოდა კახეთი, ვინაითგან იყო მშვიდობა და უმტრობა“.*

ერეკლე I (ნაზარალი-ხანი)

1703-1709

„იყო... წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი“, * ვინაიდან რუსეთის სამეფო კარზე იზრდებოდა და 14 წელი ირან-

Archil II

1664-1675

King Archil declared Telavi the capital city of Kakheti, to replace the war-ravaged Gremi. “Archil moved his palace to Telavi, renovated all churches of Kakheti and placed bishops there to strengthen the faith and revive the country...”*

“Kakheti was prospering for there was peace and enemies were gone.”*

Erekle I (Nazar Ali Khan)

1703-1709

“He was unaware of Georgian traditions and lacked experience in kingship,”* because he was raised at the Russian royal court, and then for 12 years served at the court of the Persian Shah. “Together with his family he converted to Islam and was named Nazar Ali-khan...”* In 1703, the Shah appointed Erekle I as King of Kakheti, but left him in Iran to command his guard. While Nazar Ali Khan stayed in Iran, his son, David II (Imam Qulikhan), ruled Kakheti.



თეიმურაზ II, დავით II, ერეკლე I, კონსტანტინე II. აკურის შეწირულობის სიგელი, 1708 წ. და 1723 წ. (ხეც) Teimuraz II, Davit II, Erekle I, Konstantine II. A deed of donations to the Akura Monastery, 1708 and 1723 (NCM)

ში, შაჰის კარზე, მსახურობდა. „გამაჰმადიანდა ცოლ-შვილითა სრულიად და უწოდეს ნაზარალიხანი...“* 1703 წელს ერეკლე I შაჰმა კახეთის მეფედ დანიშნა, მაგრამ ირანში დატოვა, თავისი გვარდიის მთავარსარდლად. ვიდრე ნაზარალიხანი ირანში იმყოფებოდა, მისი ვაჟი, დავით II (იმამყული-ხანი) კახეთს მართავდა.

თეიმურაზ II

კახეთის გამგებელი 1709-1715
კახეთის მეფე 1733-1744

თეიმურაზ II-მ თავისი ვაჟი ერეკლე II კახეთში გაამეფა, თავად კი ქართლში გამეფდა. ამით ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. 1745 წელს იგი ძველი ქართული წესით ეკურთხა ქართლის მეფედ სვეტიცხოვლის ტაძარში.

თეიმურაზ II-ის მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური წარმატება იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოპოვებული უპირატესობა – ერევანის, განჯისა და ნახჭევანის ხანების საქართველოს მოხარკედ გახდომა.

იგი იყო პოეტი და მთარგმნელი. თეიმურაზ II-ის ნაწარმოებებია: „დღისა და ღამის გაბაასება“ ანუ „სარკე თქმულთა“, „საქართველოს ზნეობანი“, „გაბაასება რუსთაველთან“.

დავით II (იმამყული-ხანი)

1703-1722

დავით II დაიბადა და ბავშვობა გაატარა ირანში, სადაც იმამყული-ხანი უწოდეს. „...იყო ესე დავით პირმშვენიერ-ჰაეროვანი, ტანმცირე, არა ძლიერი და მიქცეული სრულიად სჯულსა მაჰმადისასა... უმეცარი ზნეთა და სამეუდროთა საქართველოვსათა. არამედ წიგნი და ენანი უწყოდა ორნივე წარჩინებულად... გარნა იწყო ზნეთა ქართლისათა სწავლა...“* ირანელი ხანების ხანგრძლივი მმართველობის შემდეგ მან კვლავ აღადგინა ქართული სამოხელეო ინსტიტუტი კახეთში.

Teimuraz II

Governor of Kakheti 1709-1715
King of Kakheti 1733-1744

Teimuraz II enthroned his son, Erekle II, in Kakheti and he himself became the King of Kartli, thereby laying the groundwork for the unification of the Kartli and Kakheti kingdoms. In 1745, he was enthroned as the King of Kakheti according to the old Georgian tradition at the Svetitskhoveli Cathedral. Teimuraz II achieved significant military and political success in South Caucasus, as he made the Khans of Yerevan, Ganca and Nakhicevan Georgia's vassals. He was a poet and a translator and wrote "A conversation between a day and a night" or "A mirror of what has been said," "Georgia's Morals" and "A conversation with Rustaveli".



დავით II (იმამყული-ხანი), მენიურლობის სიგელი, 1708 წ. და 1723 წ. (ხეც)
David II (Imam Quli Khan) a deed of donations, 1708 and 1723 (NCM)

David II (Imam Quli Khan)

1703-1722

David II was born and educated in Iran where he was named Imam Quli Khan. "...David was handsome, short, lacking strength and fully converted to Islam...he was unaware of Georgian traditions and military affairs. However, as he commenced learning Georgian traditions, he mastered the language and books exceedingly well..."* After a lengthy rule by Iranian khans, he restored Georgian state institutions in Kakheti.

ერეკლე II

კახეთის მეფე 1744-1762

ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798

„მაშინ მოვიდა თეიმურაზ და დაჯდა ტფილისს (1744) ... ხოლო ძე თეიმურაზისა ერეკლე დაჯდა კახეთს“.* ერეკლე II-მ ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა: მკვეთრად გამიჯნა სამხედრო, საპოლიციო, საგარეო საქმეთა, სასამართლო, საფინანსო, საგანმანათლებლო საქმეთა უწყებები, შეიმუშავა მორიგე ჯარის დებულება. ერეკლეს ხელშეწყობით ქართლ-კახეთში დაარსდა სახელმწიფო სკოლები.

ერეკლე II-ს დროს გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები (შაქრის, მინის, შალის, იარალის), სამთამადნო წარმოება (სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის); განახლდა ზარაფხანა, გახშირდა ნიგნების ბეჭდვა.



ერეკლე II, ლითოგრაფია XIX ს. I ნახ. იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან (ხეც)
Erekle II, lithography, first half of the 19th c. From Ioane Batonishvili collection (NCM)



გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წ. (ხეც)
Georgievski's Treatise. 1783 (NCM)

Erekle II

King of Kakheti 1744-1762

King of Kartli and Kakheti 1762-1798

“Then came Teimuraz who was enthroned in Tbilisi (1744)... his son, Erekle, became the Kakhetian King.”* Erekle II carried out important changes for the centralization of power: he clearly distinguished between the functions of the military, police, foreign affairs, judicial, financial and educational institutions and issued a decree establishing a standing army. State-run schools were established in Kartli and Kakheti through Erekle’s efforts. Under Erekle’s rule factories (glass, wool and weaponry) and plantations (including sugar) were created, as well as the mining industry (steel, gold and silver, cast iron and iron); the mint became operational again and book printing became more frequent.

გიორგი XII

1798 – 1800

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე

ხანმოკლე მეფობის შემდეგ, 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. 1801 წლის 18 იანვარს კი პეტერბურგში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი, რომლის მიხედვით ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. საქართველოს სამეფო სახლის ყველა წევრი პეტერბურგში მიიწვიეს. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის სამეფო გვირგვინი და კვერთხი ჯვარის თანხლებით რუსეთის სამეფო ქალაქში გაიგზავნა. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით კი დასრულდა ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია და იგი რუსეთის იმპერიის გუბერნიად იქცა.

Giorgi XII

1798 -1800

the last king of Kartli and Kakheti

On 28 December 1800, Giorgi XII died after a short period of kingship. On 18 January 1801, Emperor Paul I's manifesto was published in Petersburg, declaring Kartli and Kakheti a Russian province. All members of the Georgian royal house were invited to Petersburg. The royal crown and scepter of Giorgi XII, the last king of Kartli and Kakheti, were sent to Russia. Alexander I's manifesto, published on 12 September 1801, ended the existence of the Kingdom of Kartli and Kakheti.



გიორგი XII, სთარხნის განახლების წიგნი, 1799 წ. (ხეც)

Giorgi XII, a book given to the servants to attest their exemption from taxes, 1799 (NCM)



ფოტო გ. ჩანადირი
Photo by G. Chanadiri



„მთავარანგელოზთა“ ანსამბლი.
პალატ-სამრეკლო. ფოტო მ. პიტურიშვილი

*The Archangels' Complex.
Palace and Bell Tower.
Photo by M. Pitiurishvili*



პალატ-სამრეკლო. „მეფეთა დარბაზი“-ს ექსპოზიციის ნაწილი. ფოტო ი. დოლიძე
Palace-Bell tower. Exposition of "Kings Palace". Photo by I. Dolidze





ლ. ჭოღოშვილი. მეფე გიორგი I. ტილო, ზეთი, 208 x 91
L. Chogoshvili. King Giorgi I. Canvas, Oil, 208 x 91

1978-1983

გიორგი I

1466-1476



„**კ**უალად ჰყო გრემი ქალაქი და ტახტი ჰერ-კახთა და შენობა დიდი... არა მისცა მთავართა ძალი, არამედ თუთ დაიჭყრა. გარნა თუ იწოდა თუსთაგან | შეფედ... აღაშენა კახეთი და განაესნა, ვინაძთგან აქტუნდა მშუდობა.“

ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII ს.

Giorgi I

1466-1476

„**A**nd there was a town called Gremi and there was the throne of Hereti and Kakheti and a large dwelling there...And he did not leave power with the feudal lords but wielded it himself. Only then did his people name him the King...He revived and developed Kakheti, for peace was upon the land.“

Vakhushti Batonishvili, 18th c



ლ. ჭოღოშვილი. მეფე ალექსანდრე I. ტილო, ზეთი, 206 x 91
L. Chogoshvili. King Alexander I. Canvas, Oil, 206 x 91

1978-1983

ალექსანდრე I



1476-1511

„ესე ალექსანდრე იყო შუენიერი, ჰეროვანი, ახოვანი, მოისარ-მოსაჯარზე, საჩინო და თებრო, კეთილ-
თბოროტო, მოწყალე, მშვიდი და მდბანლი... ამანვე
ალექსანდრემან თმეტესად დამშუდა კახეთი და მოიმტკიცა
თუსად, აღაშენა და განავსო და მართვიდა კეთილად.“

ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII ს.

Alexander I

1476-1511

“Alexander was handsome to look at, light in movement, strongly built, skilled at archery, unselfish. He strengthened, built and expanded (it) and distinguished himself as a kind ruler.”


Vakhushti Batonishvili, 18th c



ლ. ჭოღოშვილი. ლევან კახთა მეფე. ტილო, ზეთი, 206 x 90
L. Chogoshvili. King Levan. Canvas, Oil, 206 x 90

1978-1983

ლევანი



1518/1520-1574

„**ლ**მთისმოყვარე მეფე ლეონ ქართლისა და კახეთისა, აოჴრებულის იერუსალიმის დამუსნელი და ახლად აღმანშენებელი ქრისტეს საფლავისა და გოლგოთისა.“

ტიმოთე გაბაშვილი, XVIII ს.

Levan

1518/1520-1574

„**T**he god-fearing King Leon of Kartli and Kakheti, liberator of the ravaged Jerusalem and rebuilder of the Tomb of Christ and Golgotha.“

Timote Gabashvili, 18th c




ლ. ჭოღოშვილი. მეფე ალექსანდრე II. ტილო, ზეთი, 206 x 90
L. Chogoshvili. King Alexander II. Canvas, Oil, 206 x 90

1978-1983

ალექსანდრე II

II



1574-1605

„საწუთრო აღესილია ალექსანდრეს დიდებით, სანქართველო მისი წყალობით ისქანდერის (ალექსანდრე მაკედონელი) ასჯარებია, მის კეთილშობილ ხელისგულს გამარჯვების ხანჯალი უჭყრია, მისი სამეფო გამარჯვებულა, ქვეყანა აყვავებულა.“

ფაღფურ ლაჰიჯანი, სპარსი პოეტი, XVII ს.

Alexander II

1574-1605

„The world sings praise to Alexander’s greatness. Through his efforts Georgia became an arena for Iskandar (Alexander of Macedon). His noble arm wields a sword of victory. His kingdom is victorious, his country prospers.“

Faghfur Lahijani, Persian poet, 17th c



ლ. ჭოღოშვილი. ქეთევან დედოფალი. ტილო, ზეთი, 210 x 91
L. Chogoshvili. Queen Ketevan. Canvas, Oil, 210 x 91

1978-1983

ქეთევან დედოფალი

1605

„**ბ**ანაგებდა კახეთს გრემს მყოფი ქეთევან დედოფლობით.“

ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII ს.

„წამების მიუხედავად, დედოფალი მზად იყო არა მხოლოდ ერთი, არამედ ათასი სიცოცხლეც რომ ჰქონოდა ქრისტესთვის დაეთმო.“

*არქანჯელო ლამბერტი,
იტალიელი მისიონერი, XVII ს.*

Queen Ketevan

1605

„**Q**ueen Ketevan, sitting in Gremi, ruled over Kakheti.“

Vakhushti Batonishvili, 18th c

“Despite tortures, the Queen was sacrificed her life – and even if she had a thousand lives she would still do so – for the sake of Christ.”

Archangelo Lamberti, Italian missionary, 17th c



ლ. ჭოღოშვილი. მეფე თეიმურაზ I. ტილო, ზეთი, 205.5 x 90
L. Chogoshvili. King Teimuraz I. Canvas, Oil, 205.5 x 90

1978-1983

თეიმურაზ I

1606-1648

„...ქმნა ქორწილი გრემს თეიმურაზ (1612 წ.)
და განაგებდა კახეთს ნებისაგებ...“

ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII ს.

Teimuraz I

1606-1648

„Teimuraz held his wedding in Gremi (in 1612)
and ruled Kakheti of his will...“

Vakhushti Batonishvili, 18th c




ლ. ჭოღოშვილი. მეფე ერეკლე II. ტილო, ზეთი, 200 x 88.5
L. Chogoshvili. King Erekle II. Canvas, Oil, 200 x 88.5

1978-1983

ერეკლე II

1466-1476



„ეროვნში მე ვარ და აზიაში
საქართველოს მეფე – ერეკლე“

*პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი,
1740-1786 წწ.*

„ღირველი და ყველანაე უფრო ძლევამოსილი ღირვინებან
სჯარსეთსა და საქართველოში.“

*შარლ პეისონელი, ფრანგი
მოგზაური, XVII-XVIII სს.*

Erekle II

1744- 1798

„I rule in Europe and Erekle, the Georgian
King, rules in Asia,”

*Prussian King Frederick the Great,
1740-1786*

“The first and most powerful personality in Persia
and Georgia.”

*Charles Peisonel, French traveler,
17th-18th cc*



ლევან მეფის სამოსი, რეკონსტრუქცია ნეკრესის მოხატულობიდან (XVI ს.). ლევან მეფის გვირგვინი, რეკონსტრუქცია გრემის „მთავარანგელოზთა“ ეკლესიის მოხატულობიდან (XVI ს.) – „სამოსელი პირველი“

King Levan's apparel, reconstruction from Nekresi Church (16th c), King Levan's crown, reconstruction from Church of Archangels' in Gremi (16th c) – "Samoseli Pirveli"



საომარი აღჭურვილობა: პერანგი, მუზარადი, სამკლაურები, ფარი, ხმალი გ. ჭახელიძე
Armour: chainmail, helmet, wrist armour, shield, sword. G. Chakhelidze

კახეთის მეფეები წმინდა მიწაზე


The Kakhetian kings in the Holy Land

XVI საუკუნიდან საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის კახეთი ყველაზე მდიდარი სამეფოა. იგება ქალაქები, შენდება, იხატება და იშენდება ეკლესია-მონასტრები. ფართოდაა გაშლილი მშენებლობა არა მარტო კახეთში, არამედ ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში – იერუსალიმსა და ათონის მთაზე.

თურქთაგან 1517 წელს დაპყრობილი ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და სხვა წმინდა ადგილები ლევან კახთა მეფემ გამოისყიდა. ამის დასტურად, ხონთქარმა „მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე... სიგელითა მტკიცითა“ (ბერი ეგნატაშვილი, XVIII ს.).

After the 16th century, Kakheti became the richest of all Georgian kingdoms and principalities, where cities were built and churches and monasteries were adorned with exceptional frescoes. Construction was wide-spread not only in Kakheti but in Jerusalem and Mount Athos as well, more precisely, in the primary centers of Christendom.

The Kakhetian King Levan (Leon) restored the Tomb of Christ, Golgotha and other holy places that had been occupied by the Turks in 1517. In confirmation of this, the Sultan “gave him the Tomb of Christ, Golgotha, Bethlehem, the Monastery of the Cross and all other monasteries”. The Georgian inscription preserved on the Golgotha patriarchal throne kept a record of the Kakhetian King Leon



იერუსალიმი, სებასტიან მიუნსტერის ნახატი, 1550 წ.
Jerusalem, design by Sebastian Munster, 1550.

გოლგოთას საპატრიარქო ტახტის ფეხზე მოთავსებულმა ქართულენოვანმა წარწერამ შემოგვინახა ცნობა ლეონ კახთა მეფის შესახებ, რომელმაც იოაკიმ ჯვარის მამის ხელით 1533 – 1536 წლებში განაახლა ქრისტეს საფლავი და გოლგოთა.


„დაწმინდათვის ქრისტეს საფლავისა“, ბერძნულ საეკლესიო კალენდარში 13 სექტემბერი „ღირსისა მეფისა ლეონისა“ ხსენების დღედ იყო დანესებული.

XVIII საუკუნეშიც კი ლევან მეფე იხსენიება ქრისტეს საფლავის ეკლესიის ბერძნულ მოსახსენიებლებში.


ლევან კახთა მეფის სახელთანაა დაკავშირებული ფილოთეოსის მონასტრის მშენებლობა ათონის წმინდა მთაზე: „...არს ესე მონასტერი აღმენებული დავითიან-სოლომონიანთა პანკრატიონთა ძეთაგანისა ქართლისა და კახეთისა მეფისა ლეონისა მიერ, ბატონის თეიმურაზის პაპის მამისა, რამეთუ წარმოუგზავნიათ და თვისითა საფასითა აღუშენებია საწესენებლად საუკუნოდ... და არს მას მონასტერსა შინა მათ მეფეთა მოქსენება სამარადისო მწუხრად და ცისკრად“ (ტიმოთე გაბაშვილი, XVIII ს.).



იერუსალიმი, XVI ს.
Jerusalem, 16th c



წმინდა საფლავის ეკლესიის გეგმა
Church of the Tomb of Christ. plan



ქრისტეს საფლავის სამლოცველო,
ბერნარდინო ამიკოს ჩანახატი, XVI ს.
Chapel of the Tomb of Christ,
sketch by Bernardino Amico, 16th c.

ლევან მეფემ ფილოთეოსის მონასტერს ადგილი დაუმტკიცა კახეთში და „...არს მათ მეფეთაგან შემონირული კახეთს სოფელი ხოდაშენი.“

ფილოთეოსის მონასტერის სატრაპეზოში დღემდე შემორჩენილი კახეთის მეფეთა ფრესკული გამოსახულებები ეკლესიის მოდელით ხელში.



„...მეფე ლეონ სტკია ტანითა მოშაღლო, მოხუცებულთ, მწითურთ, ცხვირკავთ, თმითა და წვერითა სჯეტავთ, მოსილი გვირგვინითა და ჭოღირითა; ხოლო ალექსანდრე მეფე – ჰასაკითა მცირე, შენეირთ სახილავთ, თმითა მოშავო, მოსილი იგიცა გვირგვინითა“.

ტიმოთე გაბაშვილი, XVIII ს.

The icon of King Leon features a tall elderly man with a healthy face, an aquiline nose, gray hair and beard. He is wearing a royal crown and a cloak; King Alexander is of tender age, handsome, his hair black with a crown on his head.”

Timote Gabashvili, 18th c

who renovated the Tomb of Christ and Golgotha in 1533-1536.


“Due to the liberation of the Tomb of Christ”, the Greek ecclesiastical calendar declared that September 13 would be the Day of “Virtuous King Leon”.

In the 18th century, King Leon was mentioned in the Greek annals of the Church of the Tomb of Christ.


The construction of the Monastery of Philotheou is associated with the name of King Leon. “...and there was a monastery built by King Leon of Kartli and Kakheti, a descendant of King David, King Solomon and the Bagration Dynasty, the great grandfather of King Teimuraz, for he built this monastery by his will to glorify his name across centuries...and praise is sung to the kings now and forever, at dawn and at dusk.”

King Leon donated Khodasheni, a village in Kakheti, to the Monastery of Philoteou: “They, the kings, donated the village of Khodasheni to Kakheti”.

The refectory at the Philotheou Monastery to this day has preserved frescoes of Kakhetian kings holding models of churches in their hands.



ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზო
Refectory of the Monastery of Philotheou



ფილოთეოსის მონასტერი, ვ. ბარსკის ჩანახატი, 1744 წ.
Monastery of Philotheou, a sketch by V. Barski. 1744



ათონის ივერიის მონასტერი, ტიმოთე გაბაშვილი, XVIII ს.
 Iveria Monastery on Mount Athos, Timote Gabashvili, 18th c.



სამეფო ტუალეტი. ფოტო შ. ლეჯავა
Royal Toilet. Photo by Sh. Lejava



პალატ-სამრეკლო. პირველი სართული. ფოტო ი. დოლიძე
Palace-Bell-Tower. First Floor. Photo by I. Dolidze



პალატ-სამრეკლო. მეორე სართული. ფოტო ი. დოლიძე
Palace-Bell-Tower. Second Floor. Photo by I. Dolidze



პალატ-სამრეკლო. მესამე სართული. ფოტო მ. პიტურიშვილი
Palace-Bell-Tower. Third Floor. Photo by M. Pitiurishvili



გრემის „მეფეთა დარბაზი“-ს ექსპოზიცია პალატ-სამრეკლოს მუზეუმში მომზადებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (ირმა დოლიძე, ნინო ვაჩეიშვილი, გიორგი სოსანიძე, გვანცა გეგეჭკორი, მაია ყვირალაშვილი, ქეთი ქამუშაძე, ზვიად მებურიშვილი) და კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის ცენტრის მიერ 2011 წელს. ანიმაცია და სლაიდშოუ - ალექსანდრე მაყაშვილი.

The Gremi museum exposition - "Kings Palace" in Bell Tower - was organized in 2011 by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia (Irma Dolidze, Nino Vacheishvili, Giorgi Sosanidze, Gvantsa Gegechkori, Maia Kvirashvili, Ket Kamushadze, Zviad Meburishvili) and Cultural Heritage Rehabilitation Centre. Animation and slideshow - Aleksandre Makashvili.

შეხვედებით მოღვაწეობა Artistic life

გვიანი შუა საუკუნეების ძეგლების უდიდესი ნაწილი კახეთშია შექმნილი. XVI საუკუნემ ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობის, ოქრომქანდაკელობის, ნაქარგობის საუკეთესო ნიმუშები შემოგვინახა. ამ პერიოდის ოქრომჭედლობის ძეგლების უმეტესობა კახეთის მეფეთა დაკვეთითაა შესრულებული.

The majority of Georgian late medieval monuments were built in Kakheti. The 16th c left us with some of the best architecture, frescoes, gold sculpture and embroidery. Most of the goldsmith work done in this period was ordered by Kakhetian kings.



გარდამოხსნა. XV ს. შესრულებულია გიორგი VIII-ის დაკვეთით (სემ/ბმ)
Shroud Christ. 15th c. Commissioned by King Giorgi VIII (MFA/GNM)



ალავერდი. ღმრთისმშობლის კარედი ხატი. XVI ს. 69,5X59. ვერცხლი მოოქრული.
შეუწირავს კახთა მეფის კარის წინამძღვარს – ფილიპეს (სემ/ხმ). ფოტო შ. ლეჟავა
Alaverdi. Triptych with Icon of the Virgin with the Child. 16th c. 69,5X59. Silver Gilded.
Donated by Philip, dean at the Kakhetian Royal Court (MFA/GNM). Photo by Sh. Lejava



დავითგარეჯა. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა. XVI ს. 20X15. ოქრო. წარწერაში (ზურგზე) მოხსენიებულია კახთა მეფე ალექსანდრე (1574-1605) და მისი მეუღლე თინათინი (სემ/ხმ). ფოტო შ. ლეჟავა
 Davitgareja. Beheading of St. John the Baptist. 16th c. 20X15. Gold. The inscription (on the back side) mentions King of Kakheti Alexander (1574-1605) and his wife Tinatin (MFA/GNM). Photo by Sh. Lejava



ალავერდი. წმ. ნიკოლოზი. XVI ს. 28,5X20. ოქრო. ხატი შესრულებულია ალექსანდრე (1574-1605) კახთა მეფის დაკვეთით (სემ/ხმ). ფოტო შ. ლეჟავა
 Alaverdi. St. Nicholas. 16th c. 28,5X20. Gold. The icon was made by order of king Alexsander (1574-1605) (MFA/GNM) Photo by Sh. Lejava



შუამთა. ღმრთისმშობელი ყრმით. XVI ს. 49X41. ოქრო. კახთა მეფის ლეონის (1520–1574) მეუღლის თინათინ დედოფლის
შენანირი (სემ/ხმ). ფოტო შ. ლეჟავა
Shuamta. The Virgin with the Child. 16th c. 49X41. Gold. Donated by Queen Tinatin, wife of king Leon (1520–1574)
(MFA/GNM). Photo by Sh. Lejava



„მთავარანგელოზთა“ ტაძარი გრემში, 1565 წ. ფოტო გ. ბაგრატიონი
Church of Archangels' in Gremi, 1565. Photo by G. Bagrationi



„მთავარანგელოზთა“ ტაძარი გრემში. ღმრთისმშობელი. ფოტო შ. ლეჯავა
Church of Archangels'. Mother of God. Photo by Sh. Lejava



ახალი შუამთა. XVI ს.
New Shuamta. 16th c



ღმრთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია ახალ შუამთაში, XVI ს. ფოტო შ. ლეჟავა
New Shuamta church of the Birth of Mother of God. 16th c. Photo by Sh. Lejava



ღმრთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია ახალ შუამთაში, XVI ს. ფოტო შ. ლეჯავა
New Shuamta church of the Birth of Mother of God, 16th c. Photo by Sh. Lejava

გრემთანაა დაკავშირებული ხელნაწერ წიგნთა გადანერაც. მათ შორისაა „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა, რომელიც 1479-1495 წლებში, დედოფალთ-დედოფლის ნესტან-დარეჯანის, მისი ძის, კახთა მეფე ალექსანდრე I-ის და დედოფალ ანას ბრძანებით გადაიწერა.

თინათინ დედოფლის დაკვეთითაა შესრულებული ღვთისმშობლის, ოქროთი და თვლებით განყობილი ხატი – შეწირული შუამთის მონასტრისათვის, ლევანის დაკვეთით – მაცხოვრის ხატი ალავერდისთვის, ალექსანდრე კახთა მეფის მიერ შეწირული დიდი საკურთხევლისწინა ჯვარი გორისჯვრის ეკლესიისათვის.

Calligraphic books were also made in Gremi, including Queen Anna's list in Kartlis Tskhovreba (The Georgian Chronicles), a copy of which was made between 1479 and 1495 at the request of Queen of Queens Nestan-Darejan, her son King Alexander I and Queen Anna.

Queen Tinatin ordered a painting of an icon of the Virgin Mary, which was adorned with gold and precious stones and placed in the Shuamta Monastery. King Levan ordered an icon of Christ for Alaverdi Cathedral and King Alexander donated a large cross to be placed in front of the sanctuary at Gorisjvari Church.

According to Georgian historian Vakhushti Batonishvi-



კარდანახის საბაწმინდა
Saint Saba Church in Kardakhani

ვახუშტის ცნობით, ლევანმა მოძებნა შაჰ-ისმაილის მიერ გაძარცული და მტკვარში გადაგდებული სიონის ღვთისმშობლის ხატი „შეამკო და წარავლინა კუალად ტფილისსა სიონსა შინა“.

მისი მეფობის დროს აიგო და მოიხატა გრემის „მთავარანგელოზთა“ ეკლესია, ახალი შუამთის მონასტერი.

ლევან მეფის განკარგულებით აიგო სამების ეკლესია ალვანში, წმ. ნიკოლოზის – მატანში, ვედრების ბახთალო-ზაგემში (ამჟამად ზაქათალის რაიონში).

რესტავრაცია ჩაუტარდა ალავერდისა და ნინოწმინდის ტაძრებს, ხირსის მონასტერს, ბარცა-

ლი, King Levan found the icon of the Virgin Mary which had been thrown into the River Mtkvari by Shah Ismail, and returned it to the Holy Sioni Cathedral of the Dormition in Tbilisi.

It was during King Levan’s reign that the Archangels’ Church of Gremi and the New Shuamta Monastery were built and decorated.

He also ordered the construction of the Holy Trinity (Sameba) Church of Alvani, the St Nicholas Church of Matani and the Church of Supplication in Baxtalo-Zagemi (currently in the Zakatala region of Azerbaijan).

Restoration work was also carried out on the churches of Ninotsminda and Alaverdi, as well as Khirsi Monas-



გორისჯვრის საკურთხეველისწინა ჯვარი. XVI ს. (სემ/ხმ)
Altar Cross from Gorisjvari. 16th c. (MFA/GNM)



ნინოწმინდას სამრეკლო, XVI ს.
Ninotsminda Bell Tower, 16th c.



ახალი შუამთის სამრეკლო, XVI ს.
New Shuamta Bell Tower, 16th c.

ნას ღმრთისმშობლის ეკლესიას, აწყურის თეთრ გიორგის, კარდანახის საბანძინდას და სხვ.

აშენდა სამრეკლოები ნინოწმინდის, ახალი შუამთისა და გრემის კომპლექსებში.

ლევანის ბრძანებით მოიხატა ადრე აგებული ეკლესიებიც: წმ. სამების ბაზილიკა (VI-VII სს.) ხაშმში, იოანე ნათლისმცემლის ბაზილიკა (VIII-IX სს.) ალვანში, იოანე ნათლისმცემლის ბაზილიკა (VIII-IX სს.) საბუეში, ცხრაკარას ბაზილიკა (V-VI სს.) მაგანში.

ლევან მეფის ცხოვრებაშივე შეიქმნა მისი შვიდი ქტიტორული პორტრეტი – ექვსი კახეთში (ალვანში, ნეკრესში, ახალ შუამთაში, გრემში, კანა-

თერ, the Bartsani Virgin Mary Church, the Church of White George in Atskuri and Saint Saba Church in Kardakhani among others.

Were built Bell Towers in the complexes of Ninotsminda, New Shuamta and Gremi.

Earlier churches were also decorated during Levan's reign. Among these were the 6th-7th cc Holy Trinity basilica in Khashmi, the 8th-9th cc basilicas of St John the Baptist in Alvani and Sabue and the Tskhrakara (Nine Gates) Basilica in Matani, dating from the 5th -6th cc.

Seven portraits were made of King Levan while he was alive – six in Kakheti (Alvani, Nekrisi, New Shuamta, Gremi, Katsreti Sameba and at the St John the Bap-

რეთის სამებაში, საბუეს ნათლისმცემელში (ამჟამად აღარ არსებობს) და ერთი ათონის მთაზე, ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზოში. უიშვიათესი შემთხვევაა – ერთი და იმავე ისტორიული პირის შვიდი პორტრეტული გამოსახულება, შესრულებული ექვსი ათეული წლის განმავლობაში (1518-1578).

გრემი იყო შთაგონების წყარო მეფე-პოეტ თეიმურაზისთვის.

tist church at Sabue, now in ruins-and one on Mount Athos in Greece in the refectory of Philotheou Monastery. It is very rare that seven portraits of the same historical figure have been made within sixty years (from 1518 and 1578).

Gremi was also a source of inspiration for the poet King Teimuraz.



წმ. ნიკოლოზის ტაძარი
მატანში, XVI ს.

Church of St. Nicholas
in Matani, 16th c.



ფოტო გ. ჩანადირი
Photo by G. Chanadiri



ლიტერატურა

Bibliography

1. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ. 1994
2. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ. 1974
3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ. 1973
4. გვასალია ჯ., ქალაქ გრემის ისტორიისათვის, ანალები, №1, თბ. 2002
5. ზაქარაია პ., ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ. 1975
6. ზაქარაია პ., საქართველოს ციხე-სიმაგრეები, თბ. 1988
7. ვაჩნაძე მ., ლევან კახთა მეფე და მისი შვიდი პორტრეტი კახეთსა და საბერძნეთში, ლიტერატურა და ხელოვნება №5-6, თბ. 1992
8. ვაჩნაძე მ., კედლის მხატვრობის ძეგლები (ლევან კახთა მეფისა და თინათინ დედოფლის პორტრეტული გამოსახულებანი), ძეგლის მეგობარი, №31-32, თბ. 1973
9. მამულაშვილი ალ., გრემის სარწყავი არხი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI, თბ. 1947
10. მამულაშვილი ალ., კახეთის ძველი აბანოები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV, თბ. 1947
11. მაჭავარიანი ე., იოანე ბაგრატიონის ცნობა კედლის მხატვრობასა და ტილოზე ფერწერული ხატების შესრულების შესახებ, თბ. 2012
12. ისკანდერ მუნში, ცნობები საქართველოს შესახებ, ვლ. ფუტურიძის თარგმანი და გამოცემა, თბ. 1969
13. ისკანდერ მუნში, „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“, თბ. 1629
14. საყვარელიძე თ., ქართული ხატები, „ხელოვნება“, თბ. 1994
15. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, თბ. 1956
16. ქართლის ცხოვრება, II, ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1959
17. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973
18. ქუთელია თ., კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა, ძეგლის მეგობარი, №23, თბ. 1970
19. ჭილაშვილი ლ., კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს.), თბ. 1980
20. ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა საქართველოში, თბ. 2007 წ.
21. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ. 1967
22. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, III-IV, თბ. 1962

შემოკლებები

Abbreviations

სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი
NMG – National Museum of Georgia

სემ/ხმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმი
MFA/NMG – Museum of Fine Arts of National Museum of Georgia

ხეც – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
NCM – National Centre of Manuscripts

საზიჯეო Contents

წინათქმა	3
Introduction	5

კახეთის სამეფოს დედაქალაქი გრემი THE CITY OF GREMI

ქალაქი გრემი The City of Gremi	8
მცირე ქალაქი ქალაქში A small city within a city	12
სამეფო უბანი The Royal District	20
სავაჭრო უბანი The market district	28
აბრეშუმის გზა და საერთაშორისო ვაჭრობა The Silk Road: International Trade	44
ქალაქის სარწყავი სისტემა The Gremi irrigation system	46
ბაზარი (ზაგემი) Bazari (Zagemi)	48
ქალაქ გრემის დასასრული The Fall of Gremi	52

კახეთის სამეფოს მეფეები THE KAKHETIAN KINGS

კახეთის სამეფოს მეფეები The Kakhetian kings	62
კახეთის მეფეები წმინდა მიწაზე The Kakhetian kings in the Holy Land	96
შემოქმედებითი მოღვაწეობა Artistic life	104

ლიტერატურა/შემოკლებები Bibliography/Abbreviations	118
--	-----

რედაქტორი – ნიკოლოზ ანთიძე
Editor – **Nikoloz Antidze**

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა: ირმა დოლიძე, გვანცა გეგეჭკორი
The collection compiled and prepared for publishing by: **Irma Dolidze, Gvantsa Gegechkori**

დოკუმენტური ფილმი „გრემი“ – თომა ჩაგელიშვილი
Documentary film „Gremi“ – **Toma Chagelishvili**

დიზაინი და დაკაბადონება – მაკა ცომაია
Layout Design – **Maka Tsomaia**

თარგმანი – ეკატერინე ჭილაშვილი
Translation – **Ekaterine Chilashvili**

ინგლისური ტექსტის რედაქტორი – მერი ელენ ჩეტვინი
English text editor – **Mary Ellen Chatwin**

მხატვარი – გიორგი სოსანიძე
Painter – **Giorgi Sosanidze**

ფოტოები: გიორგი ბაგრატიონი, შალვა ლეჟავა, გიორგი ჩანადირი, ზურაბ ცერცვაძე, მიხეილ პითურიშვილი
Photos: **Giorgi Bagrationi, Shalva Lejava, Giorgi Chanadiri, Zurab Tsertsvadze, Mikheil Pitiurishvili**

კრებულში გამოყენებული საარქივო ფოტომასალა დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტთა საცავში
The archive photos presented in the edition are preserved in the Cultural Heritage Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

ფოტოები: გვ. 105-107, 113 – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია
Photos: p. 105-107, 113 – **George Chubinashvili National Research For Georgian Art History and Heritage Preservation, Monuments Photo Recording Laboratory**

სარედაქციო ჯგუფი მადლობას უხდის განუული დახმარებისთვის **გიორგი გოგოჭურს, გიორგი ლაღიაშვილს.**
The Editorial Board is grateful for the help to **Giorgi Gogochuri, Giorgi Laghiashvili.**

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE

© 2014 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
თაბუკაშვილის ქ. №5, 0105 თბილისი
© 2014 National Agency For Cultural Heritage Preservation of Georgia
Tabukashvili str. №5. 0105 Tbilisi.
www.heritagesites.ge

